სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/135

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 28 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (920886) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ (დანართი).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის №01-05-04/118 დადგენილება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) პროგრამის ხელმძღვანელი (შემდგომში - ხელმძღვანელი) არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც:

ა) უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს;

ბ) უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან/სტანდარტებთან;

გ) უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების, მოდულებში სასწავლო რესურსის განახლებას საჭიროებიდან გამომდინარე და სხვა, შესაბამისობას სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნებთან.

დ) სისტემატურად განიხილავს პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილ პრობლემებს, მიღწეულ შედეგებს და დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლას პროგრამის განვითარებისათვის.

ე) წარუდგენს პროგრამის დოკუმენტაციას, მათ შორის, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას შესაბამის საფაკულტეტო კომისიას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში წარმართავს/მონაწილეობს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება/განხორციელება/განვითარებასთან დაკავშირებულ სამუშაოებში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში;

ზ) პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სრულყოფილ დოკუმენტაციას გადასცემს შესაბამის ფაკულტეტს;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტებით, შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით და სტუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.

2. ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

3. ხელმძღვანელს, შემუშავებული უნდა ჰქონდეს პროგრამის განვითარების ხედვები და მათი განხორციელების გზები, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

ა) სტუდენტების მოზიდვის მექანიზმს;

ბ) მონაწილეობას პროგრამის და მოდულების განვითარების პროცესში (განმავითარებელი აქტივობების ინიცირება, ლიტერატურის განახლება, ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება/განახლება, მატერიალური რესურსების განახლება და სხვა);

გ) მიღებასთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით აპლიკანტთა/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას;

დ) პროგრამის განვითარებაში დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, პროფესიული ასოციაციების, დარგის სპეციალისტებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის ხელშეწყობას;

ე) კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობას;

ვ) საქართველოს მასშტაბით, კონკურენტ პროგრამებთან მიმართებაში მოთხოვნადობისა და უპირატესობების შენარჩუნებას.

4. ხელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის და დეკანის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

5. ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია შესაბამისი ფაკულტეტის და აკადემიური საბჭოს წინაშე.

6. ხელმძღვანელს აქვს უპირატესი პასუხისმგებლობა პროგრამაში გაუმართლებელი ხარვეზის არსებობის შემთხვევაზე, რამაც გამოიწვია უარყოფითი გარე შეფასება ან/და რისკის წინაშე დააყენა პროგრამის ავტორიზაციის საკითხი. ამასთან, პროგრამისათვის ავტორიზაციის გაუქმება ავტომატურად იწვევს შესაბამისი ხელმძღვანელის სტატუსის შენარჩუნების საკითხის გადახედვას.

7. პროგრამის ხელმძღვანელობისთვის დადგენილია ყოველთვიური საათობრივი ანაზღაურება, რომლის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

8. პროგრამის ხელმძღვანელობისთვის დადგენილი ყოველთვიური ანაზღაურების გაცემის შეჩერების საფუძველია:

ა) პროგრამის ავტორიზაციის გაუქმება;

ბ) ხელმძღვანელის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.